

#	ევროკავშირის რეკომენდაციები	რა უნდა გაკეთდეს უმოკლეს ვადაში კანდიდატის სტატუსის მისაღებად (საპარლამენტო ოპოზიციის ბაზისური ვარიანტი დაფუძნებული და შეჯერებული არასამთავრობო სექტორის ხედვასთან)	სრულმასშტაბიანი რეფორმისთვის საპარლამენტო ოპოზიციური პარტიების სამომავლო ხედვები/ინიციატივები რაც დამუშავდა ოპოზიციური ჯგუფების სამუშაო ფორმატში
1	<p>პოლიტიკური პოლარიზაციის საკითხის გადაჭრა პოლიტიკურ პარტიებს შორის თანამშრომლობის უზრუნველყოფის გზით 19 აპრილის შეთანხმების სულისკვეთებით</p>	<ul style="list-style-type: none"> ➤ 19 აპრილის შეთანხმებაში (შარლ მიშელის დოკუმენტი) დაბრუნება და შესრულება, მათ შორის, საკონსტიტუციო ცვლილებების მეორე და მესამე მოსმენით მიღება ➤ პოლიტიზირებული მართლმსაჯულების დასრულება. 	-

<p>2</p>	<p>უზრუნველყოფილ იქნას ყველა სახელმწიფო ინსტიტუტის სრულყოფილი მუშაობა, გაძლიერდეს მათი დამოუკიდებლობა და ეფექტიანი ანგარიშვალდებულება, ასევე მათი დემოკრატიული ზედამხედველობის ფუნქციები; კიდევ უფრო გაუმჯობესდეს საარჩევნო საკანონმდებლო ჩარჩო, აღმოიფხვრას ყველა ხარვეზი, რომელიც ამ პროცესების დროს ეუთო/ოდირისა და ევროპის საბჭომ/ვენეციის კომისიამ გამოავლინა</p>	<p>19 აპრილის (შარლ მიშელის) პოლიტიკური შეთანხმების მიხედვით საარჩევნო კოდექსში ცვლილებების მიღება:</p> <ul style="list-style-type: none"> • ცესკოს თავმჯდომარე და პროფესიული წევრები აირჩევიან პარლამენტის წევრთა ორი მესამედის უმრავლესობით. პირველი ორი მცდელობა საჭიროებს ორი მესამედის უმრავლესობას. მესამე მცდელობა - სამი მეხუთედის უმრავლესობას. შემდგომი მცდელობა - უბრალო უმრავლესობას. კენჭისყრა არ უნდა ჩატარდეს, თუ წინა კენჭისყრიდან სულ მცირე 4 კვირა არ არის გასული • გაუქმდეს ის ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც ცესკოს თავმჯდომარის ვადის გასვლის შემდეგ, ახლის არჩევამდე „ვადაგასული“ პირი ასრულებს თავმჯდომარის მოვალეობას. • ცესკოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად კონკრეტული პირის 6 თვით დანიშვნა შეიზღუდოს მხოლოდ ერთი ვადით. 	<p>➤ საარჩევნო კოდექსის ცვლილებები</p> <ol style="list-style-type: none"> 1. საარჩევნო ადმინისტრაციის წევრების არჩევის წესის ცვლილება <ul style="list-style-type: none"> • ცესკოს თავმჯდომარის და წევრების არჩევის პროცედურა მაღალი კვორუმით და პოლიტიკური კონსულტაციებისთვის აუცილებელი ინტერვალებით • ანტიჩიხური მექანიზმის დახვეწა • საოლქო და საუბნო კომისიის წევრების არჩევის პროცედურა 2. ამომრჩეველთა სიები: <ul style="list-style-type: none"> • საზღვარგარეთიდან დაბრუნებული ამომრჩევლისთვის, რეგისტრაციის ადგილის არმქონე პირებისთვის ხმის მიცემის სპეციალური წესის დადგენა • გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის ფორმირების ახალი წესი • სამაგიდო სიების და დალუქული ბიულეტენების შენახვისა და მონიტორინგის წესი 3. ხმის მიცემის შესაძლებლობა მხოლოდ ელექტრონული პირადობის მოწმობითა (ID ბარათები) და საქართველოს მოქალაქის პასპორტით (ძველი პირადობების მოხმარებიდან ამოღება) 4. ამომრჩეველთა იდენტიფიცირებისა და ხმის მიცემის/ დათვლის ელექტრონული საშუალებების დანერგვა მთელი ქვეყნის მასშტაბით (მათ შორის, ინტერნეტით, ფოსტით ხმის მიცემის შესაძლებლობა) 5. საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლისთვის ხმის მიცემის წესის ცვლილება (ხმის მიცემის რეალური შესაძლებლობის მიცემა)
----------	--	---	--

			<p>6. გრძელდება კონსულტაციები შემდეგ საკითხებზე: ამომრჩევლის მოსყიდვა, ნების კონტროლი, ფარულობა, ზეწოლა/დაშინება, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, პარტიების დაფინანსებისა და წინასაარჩევნო აგიტაციის საკითხები, შედეგების გადათვლა/საარჩევნო დავები</p> <p>➤ გენერალური აუდიტორის შერჩევის წესის ცვლილება. პარლამენტის თავმჯდომარის მიერ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად არანაკლებ 3 კანდიდატს შეარჩევს პარლამენტში წარმოდგენილი უმრავლესობის გარეთ მყოფი პარლამენტის წევრების უმრავლესობა და წარუდგენს პარლამენტს (მოითხოვს რეგლამენტში ცვლილებებს).</p> <p>➤ გენერალური პროკურორის არჩევის წესის ცვლილება 2021 წლის 29 ივნისს ინიცირებული საკონსტიტუციო ცვლილებების შესაბამისად.</p>
--	--	--	---

3	<p>მიიღოს და განახორციელოს მართლმსაჯულების რეფორმის გამჭვირვალე და ეფექტიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა რომელიც დაეფუძნება ფართო, ინკლუზიურ და პარტიათა შორის წარმართულ საკონსულტაციო პროცესს; უზრუნველყოს, რომ მართლმსაჯულების მთელი ჯაჭვი იყოს სრულად დამოუკიდებელი, ანგარიშვალდებული და მიუკერძოებელი, ასევე დაიცვას შტოებს შორის ძალაუფლების განაწილება; სახელდობრ, უზრუნველყოს ყველა სასამართლო და საგამომიებო ინსტიტუტის ჯეროვანი ფუნქციონირება და კეთილსინდისიერება, განსაკუთრებით უზენაესი სასამართლოში და გადაჭრას ყველა პრობლემა, რომელიც გამოვლინდა მოსამართლეთა ნომინირების ყველა დონეზე, ასევე გენერალური პროკურორის შემთხვევაში; გაატაროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ჯეროვანი რეფორმა და დანიშნოს უმაღლესი საბჭოს დანარჩენი წევრები. ყველა ეს ზომა უნდა გატარდეს ევროპული სტანდარტებისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების სრული დაცვით</p>	<p>სასამართლო რეფორმის ახალი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიღება და განხორციელება</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მიღებულ უნდა იქნეს სასამართლო რეფორმის ახალი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ინკლუზიურ და მრავალპარტიულ ფორმატში, სამოქალაქო საზოგადოების ფართე ჩართულობით ➤ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში მკაფიოდ უნდა იყოს გაწერილი გასატარებელი რეფორმის ყველა საკვანძო საკითხი, საერთაშორისო გამოცდილების და საქართველოს საჭიროებების გათვალისწინებით; უნდა იყოს დასახული ამოცანების შესრულების რეალისტურად მკაცრი ვადები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორების მითითებით. ➤ სტრატეგია უნდა ეფუძნებოდეს სასამართლო სისტემაში არსებული კრიზისული ვითარების და მისი გამომწვევი მიზეზების სრულყოფილ შეფასებას დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ, ინკლუზიური პროცესის შედეგად. ➤ სტრატეგია უნდა მიიღოს პარლამენტმა რეზოლუციის სახით მიმდინარე სესიაზე და აღსრულება უნდა დაიწყოს მომავალი წლის დასაწყისიდანვე. <p>იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სათანადო კვალიფიკაციის და რეპუტაციის წევრების არჩევა</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მიმდინარე სესიაზე პარლამენტმა უნდა აირჩიოს იუსტიციის საბჭოს ხუთი არამოსამართლე წევრი. კანდიდატების არჩევა უნდა მოხდეს გამჭვირვალე პროცესით, ფართე პოლიტიკური კონსენსუსის საფუძველზე. ყველა არჩეული წევრი უნდა იყოს მიუკერძოებელი, კეთილსინდისიერი და კომპეტენტური. სარგებლობდეს კარგი პროფესიული 	<p>საერთო სასამართლოების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივა:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეების, კოლეგიებისა და პალატების თავმჯდომარეების არჩევითობა 2. ცვლილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენის წესში 3. მოსამართლის თანამდებობაზე გამწესება 4. სამწლიანი გამოსაცდელი ვადისა და მოსამართლის კონკურსის გარეშე დაწინაურების გაუქმება 5. მოსამართლეთა პერიოდული შეფასების სისტემა 6. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრების კვოტები 7. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრების არჩევის პროცედურა 8. მოსამართლეთა ასოციაცია 9. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის არჩევა 10. დამოუკიდებელი ინსპექტორის არჩევისა და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში მისი თანამდებობიდან გათავისუფლების პრეროგატივის გადასვლა საქართველოს პარლამენტზე
---	--	---	---

		<p>რეკუტაციით და მაღალი საზოგადოებრივი ნდობით.</p> <p>იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმის დაწყება</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს პარლამენტის მიერ არჩეული სულ მცირე 4 არამოსამართლე წევრის მხარდაჭერით ➤ იუსტიციის საბჭოს ხელში თავმოყრილი ჭარბი და უკონტროლო ძალაუფლების დეკონცენტრაცია უნდა იყოს რეფორმის სტრატეგიის ერთ-ერთი საკვანძო საკითხი. დეკონცენტრაცია უნდა დაიწყოს პრიორიტეტულად სწრაფად, სტრატეგიაში გაწერილი ხედვის და მიმართულებების მიხედვით. ➤ უნდა აიკრძალოს სასამართლოს თავმჯდომარეებად ერთიდაიმავე პირების ზედიზედ ორჯერ დანიშვნა/არჩევა. სასამართლოების, პალატების, კოლეგიების თავმჯდომარეებსა და მათ მოადგილეებს უნდა აეკრძალოთ იმავედროულად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობა. <p>დამაზიანებელი ახლადმიღებული რეგულაციების გაუქმება</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ უნდა გაუქმდეს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონში 2021 წლის ბოლოს დაჩქარებული წესით მიღებული ცვლილებები (ე.წ. „მოსამართლეთა გადასახლებისა“ და ცენზურის შესახებ ნორმები). <p>სასამართლო გადაწყვეტილებების საჯაროობა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად</p>	<p>11. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს ფორმირების წესი ცვლილება</p> <p>12. დისციპლინური სამართალწარმოების ოპტიმიზაცია</p> <p>13. სასამართლოს გადაწყვეტილებებში პერსონალური მონაცემების გამჟღავნების საკითხი.</p> <p>კანონპროექტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილებების მიღების წესის ცვლილებაზე</p> <p>იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი დაემყარება ე.წ. ორმაგი 2/3-ის პრინციპს. კერძოდ, გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო იქნება საბჭოს მოსამართლე წევრების 2/3-ისა და არამოსამართლე წევრების 2/3-ის თანხმობის ერთდროულად არსებობა.</p> <p>გარდა ამისა, საკანონმდებლო ინიციატივების სრულყოფისთვის ასევე მნიშვნელოვანია განხილვაში ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების და ორგანიზაციების აზრების გათვალისწინება, მათ შორის, შეფასების სამუშაო დოკუმენტი, რომელიც ეხება საერთო სასამართლოების სისტემაში 2013-2021 წლებში რეფორმების განხორციელებას.</p>
--	--	---	--

4	<p>გაამლიეროს ანტი-კორუფციული სააგენტოს დამოუკიდებლობა, რომელიც თავს მოუყრის ყველა საკვანძო ანტი-კორუფციულ ფუნქციას; განსაკუთრებით კი, საგულდაგულოდ გადაჭრას მაღალი დონის კორუფციის შემთხვევები; აღჭურვოს ახლადდაარსებული სპეციალური საგამომიებო სამსახური და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სააგენტო იმ რესურსებით, რომლებიც მათ მანდატს შეესაბამება და უზრუნველყოს მათი ინსტიტუციური დამოუკიდებლობა</p>	<ul style="list-style-type: none"> ➤ ეროვნული ანტიკორუფციული სააგენტოს შესახებ კანონპროექტი დაინიცირებულია პარლამენტში. მიმდინარე სესიაზე უნდა მოხდეს მისი განხილვა და მიღება. სააგენტოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები იქნება საჯარო სამსახურში კორუფციის პრევენცია, თანამდებობის პირების მიერ „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ნორმების შესრულების კონტროლი, კორუფციული დანაშაულების მიუკერძოებელი და ეფექტიანი გამოძიება. ➤ სპეციალური საგამომიებო და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურების უფროსების დანიშვნის წესში ცვლილება (პოლიტიკური კონსენსუსის საფუძველზე, პარლამენტის სრული შემადგენლობის 3/5-ის უმრავლესობით). 	
5	<p>„დეოლიგარქიზაციის“ პირობისადმი ერთგულება, რაც უნდა მიღწეული იქნას ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში კერძო ინტერესების გადაჭარბებული გავლენის აღმოფხვრის საშუალებით</p>	<ul style="list-style-type: none"> ➤ მოცემულ პაკეტში გაზიარებული იქნა არასამთავრობო სექტორის მიდგომები დეოლიგარქიზაციის პროცესთან დაკავშირებით. 	<ul style="list-style-type: none"> ➤ საერთაშორისო ორგანიზაციების, არასამთავრობო სექტორის, ექსპერტების და პოლიტიკურ აქტორების ფართე ჩართულობით მოხდება შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავება.

6	<p>ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება, რაც უნდა დაეფუძნოს საფრთხის დეტალურ შეფასებებს, კერძოდ, საგულდაგულო გამოძიებების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსჯავრდების სანდო გამოცდილების უზრუნველყოფის გზით; სამართალდამცველი უწყებების ანგარიშვალდებულება და ზედამხედველობა უნდა იყოს გარანტირებული</p>	<ul style="list-style-type: none"> ➤ შესაბამისი პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში სამართალდამცავ ორგანოებს აქვთ შესაბამისი შესაძლებლობები და რესურსები იმისთვის, რომ ეფექტურად დაძლიონ ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებული პრობლემები. 	<p>➤ პარლამენტში შეიქმნება ინტერპარტიული მუდმივმოქმედი კომისია სადაც წარმოდგენილი იქნება ყველა საპარლამენტო პოლიტიკური ფრაქციიდან და ჯგუფიდან 1 წარმომადგენელი და რომელსაც უხელმძღვანელებს ოპოზიციის წარმომადგენელი. კომისია მუდმივ საპარლამენტო ზედამხედველობას განახორციელებს ძალოვანი უწყებების საქმიანობაზე, მათ შორის ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით.</p>
7	<p>უფრო ძლიერი ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული თავისუფალი, პროფესიული, პლურალისტური და დამოუკიდებელი მედია გარემოს უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით იმისათვის, რომ მედიის მფლობელთა წინააღმდეგ მიმართული სისხლის სამართლებრივი პროცედურები აკმაყოფილებდეს უმაღლეს იურიდიულ სტანდარტებს, და ჩატარდეს მიუკერძოებელი, ეფექტიანი და დროული გამოძიებები ჟურნალისტებისა და მედიის სხვა მუშაკთა უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული მუქარების შემთხვევებზე</p>	<ul style="list-style-type: none"> ➤ კრიტიკული მედია საშუალებების მიმართ მიმდინარე გამოძიებების და სასამართლო პროცესების შეწყვეტა. ნიკა გვარამიას ციხიდან გათავისუფლება პრეზიდენტის მიერ შეწყალების მექანიზმის გამოყენებით. ➤ 2021 წლის 5-6 ივლისს მედიის წარმომადგენლების მიმართ ჩადენილი ძალადობის ორგანიზატორების და შემსრულებელთა გამოსავლენად ეფექტური გამოძიება და დამნაშავეთა დასჯა. ➤ ფართო კონსენსუსის საფუძველზე, მედიის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების ჰარმონიზება ევროკავშირის დირექტივასთან ➤ ალტერნატიული წინადადების წარდგენა „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის პროექტის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტთან დაკავშირებით 	-

		(მაუწყებლის დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება)	
8	სასწრაფოდ გაძლიერდეს მოწყვლადი ჯგუფების ადამიანის უფლებათა დაცვა, მათ შორის, მოძალადეების და ამ ძალადობის დამკვეთების მართლმსაჯულებისადმი უფრო შედეგიანად წარდგომის გზით	<ul style="list-style-type: none"> ➤ 2021 წლის 5 ივლისის დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულების სრულყოფილი გამოძიება ➤ ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის მიღება, რომელიც მოიცავს ძალადობის წინააღმდეგ ეფექტური პოლიტიკის შემუშავებას და საზოგადოებაში ჰომოფობიისა და ქსენოფობიის შემცირებას. ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკურ წარმომადგენლობის და მონაწილეობის გაზრდა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. 	<ul style="list-style-type: none"> ➤ საპარლამენტო მუდმივმოქმედი კომისიას (მე-6 პუნქტი) ასევე დაევალება დისკრიმინაციული მოტივით, ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევით ჩადენილი დანაშაულის მონიტორინგი და ძალოვანი უწყებების მხრიდან ზემოაღნიშნულ დანაშაულებზე რეაგირების ზედამხედველობა.

9	გამლიერდეს ძალისხმევა გენდერული თანასწორობის ზრდისთვის და ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის წინააღმდეგ	<ul style="list-style-type: none"> • გენდერული ძალადობის და ოჯახში ძალადობის ახალი სამოქმედო გეგმის მიღება • სქესობრივი დანაშაულების სტამბულის კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანა • ძალადობის მსხვერპლებისთვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. 	<p>➤ ამ სამუშაო ჯგუფში გაერთიანებული ოპოზიციური პარტიებიდან პარლამენტის წევრები აქტიურად თანამშრომლობენ გენდერული თანასწორობის საბჭოს ფორმატში, სადაც იგეგმება საკანონმდებლო წინადადების მომზადება რომლებიც მიმართულია ქალთა მიმართ ძალადობის საწინააღმდეგოდ და გენდერული თანასწორობის გასამლიერებლად. 5 ოქტომბრამდე (როგორც დაანონსებულია) წარმოდგენილი კანონპროექტები მხარდაჭერილი იქნება ჯგუფის მიერ თუ ისინი თანხვედრაში იქნებიან სტამბულის კონვენციასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ევროკომისიის მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციებთან.</p>
10	უზრუნველყოფილი იქნას სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე	<p>➤ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობა ეროვნული დონის პოლიტიკის/სტრატეგიის დოკუმენტების და მათი სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში.</p>	
11	მიღებული იქნეს კანონი, რომლის თანახმადაც ქართული სასამართლოები პროაქტიულად გაითვალისწინებენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენებს თავიანთ გადაწყვეტილებებში	<p>➤ პარლამენტში პირველი მოსმენით მიღებული შესაბამისი კანონის მეორე და მესამე მოსმენით მიღება.</p>	

12	უზრუნველყოფილი იქნეს, რომ სახალხო დამცველის ნომინირების პროცესში უპირატესობა მიენიჭოს დამოუკიდებელ კანდიდატს და პროცესი წარიმართოს გამჭვირვალედ; დაცული უნდა იყოს აპარატის ეფექტიანი ინსტიტუციური დამოუკიდებლობა	➤ საპარლამენტო ოპოზიციის მხრიდან მხარდაჭერილი იქნება დამოუკიდებელი, არასამთავრობო სექტორის მიერ შერჩეული, მაღალი რეპუტაციის მქონე კანდიდატები.	
----	--	--	--